



**დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2020 წლის 30 დეკემბერი

**დისციპლინური საქმე №148/19-3  
მოსამართლე --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ**

-- -- 2019 წლის 19 აგვისტოს №148 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 19 სექტემბრის №-- წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა მომზადდა 2019 წლის 18 ოქტომბერს.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:**

საჩივრის ავტორის შეფასებით, -- სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მოატყუა და არასწორად განუმარტა კანონი, რომ სააპელაციო სასამართლოში თითქოს არ შეიძლებოდა მოწმეთა დაკითხვა და პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი დატოვა უცვლელად.

**2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

2017 წლის 28 დეკემბერს --- სააპელაციო წესით გაასაჩივრა --- სასამართლოს 2017 წლის 05 დეკემბრის განაჩენი.

-- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 21 ნოემბრის სხდომის ოქმის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ მსჯავრდებულმა სასამართლოს წინაშე სადავოდ გახადა იმ მოწმეთა ნაწილის ჩვენებათა შინაარსი და მოითხოვა მათი ხელახლა დაკითხვა, რომელთა გამოკვლევაც მოხდა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე. ამასთან, მსჯავრდებულმა სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა ახალი მოწმეების დაკითხვა მათ შორის სასამართლოს წინაშე დააყენა --- დაკითხვის შუამდგომლობა.

-- სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის საფუძველზე და არ დააკმაყოფილა მსჯავრდებულის შუამდგომლობა. სასამართლომ განმარტა, რომ მხარემ ვერ წარადგინა შესაბამისი დასაბუთება, რომელიც დაამტკიცებდა, რომ პირველი ინსტანციის მიერ მტკიცებულებების გამოკვლევა მოხდა კანონის არსებითი დარღვევით. ამდენად,

სააპელაციო წესით საქმის განხილვისას პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეული ყველა მტკიცებულება სასამართლომ მიიჩნია გამოკვლეულად.

ამასთან, სასამართლო პროცესზე დასახელებულ სხვა მოწმეებთან დაკავშირებით, სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული მოწმეების თაობაზე მსჯავრდებულისთვის ცნობილი იყო პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე, ამდენად, სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული გარემოება არ ქმნიდა ხსენებული მტკიცებულებების სააპელაციო სასამართლოში გამოკვლევის დაშვების პირობას, ვინაიდან მხარეს ჰქონდა შესაძლებლობა ზემოაღნიშნული მტკიცებულებების დაყენების შუამდგომლობით მიემართა პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის.

-- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეების -- --, -- -- და -- -- 2019 წლის 26 მარტის განაჩენით უცვლელად დარჩა -- -- სამართლოს 2017 წლის 05 დეკემბრის განაჩენი.

### **3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 18 ოქტომბრის დასკვნა:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები, შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, ამავე ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

-- -- ქმედებათა სამართლებრივი შეფასებისას უნდა აღნიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების თანახმად, სააპელაციო წესით საქმის განხილვისას დასაშვებია მხოლოდ სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი ახალი მტკიცებულების გამოკვლევა, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეული ყველა მტკიცებულება მიიჩნევა გამოკვლეულად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულება გამოკვლეულ იქნა კანონის არსებითი დარღვევით და მხარე აყენებს შუამდგომლობას ამგვარი მტკიცებულების ხელახლა გამოკვლევის თაობაზე.

მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით ახალი მტკიცებულება შესაძლოა გამოკვლეულ იქნეს სააპელაციო სასამართლოში, თუ შუამდგომლობის ავტორი დაასაბუთებს, რომ იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი პოზიციის დასასაბუთებლად და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მისი წარმოდგენა ობიექტურად შეუძლებელი იყო.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, -- -- მოქმედებდა მათთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

**4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს -- წლის -- -- №-- განკარგულებით, -- წლის -- აგვისტოდან - - -- გათავისუფლდა მოსამართლის თანამდებობიდან, 65 წლის ასაკის მიღწევის გამო.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოება ხორციელდება მხოლოდ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ. გამომდინარე იქიდან, რომ -- -- აღარ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას, იგი არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ დისციპლინური სამართალწარმოების სუბიექტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

**გადაწყვიტა:**

შეწყდეს -- -- 2019 წლის 19 აგვისტოს №148 საჩივრის საფუძველზე ყოფილი მოსამართლის -- -- მიმართ არსებული დისციპლინური სამართალწარმოება.

**ზურაბ აზნაურაშვილი**

**დამოუკიდებელი ინსპექტორი**